



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა მ ტ რ ე დ ი ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
N 38 12
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



19/02/2021

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის რიგგარეშე
სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა 2021 წლის 22 თებერვალს, 10:00 საათზე. სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი; რესპუბლიკის ქ N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი პროექტები:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 30000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 34.06.45.368) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/
2. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 7327.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.764) 7127.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – **438728708**) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

3. „ქალაქ სამტრედიის მდებარე 6077.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.64.175) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – **438728708**) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ივლისის №38 81 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

5. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.


/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე/

6. სხვადასხვა

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია



საკრებულოს თავმჯდომარე

